



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 90

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი
27.12.2024

90-06-4-202412271547



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 972 ერთეულ გარე განათების ქსელში არსებულ საყრდენებზე (ბოძი) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების გატარების მიზნით, საყრდენი წერტილების შ.პ.ს. „მაგთიკომი“-სთვის იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 2 დეკემბრის №18-182433734 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 972 (ცხრაას სამოცდათორმეტი) ერთეულ გარე განათების ქსელში არსებულ საყრდენებზე: ქალაქ გარდაბანში - 209 ბოძზე, სოფლებში: თაზაქენდი - 256 ბოძზე, კალინინო - 83 ბოძზე, ახალშენი - 62 ბოძზე, ამბარტაფა - 36 ბოძზე, ბირლივი - 198 - ბოძზე და ბოტანიკაში - 128 ბოძზე, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების გატარების მიზნით, საყრდენი წერტილები, იჯარის ფორმით გადასცეს შ.პ.ს. „მაგთიკომს“, ორი წლის ვადით.

მუხლი 2

საყრდენზე (ბოძი) ერთი წერტილის ყოველწლიური საიჯარო ქირის ღირებულება განისაზღვროს 5 (ხუთი) ლარით.

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

